

საქართველო და კვიპროსი - გზა დამოუკიდებლობიდან ოკუპაციამდე
და ბრძოლა ტერიტორიალური მთლიანობისათვის

სულხან ინაიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შესაბამისი მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა,
კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მალხაზ თორია, ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სულხან ინაიშვილი

20.06.2014

აბსტრაქტი

სამაგისტრონაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოსა და კვიპროსის ტერიტორიული დეზინტეგრაციის, სეპარატისტული მოძრაობებისა და სამხედრო კონფლიქტის საკითხი. იქედან გამომდინარე რომ, ორივე ქვეყანა განიცდის ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, და მათ ისტორიულ წინაპირობაში ძალიან ბევრი მსგავსებაა, კვლევის მიზანია იპოვოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს შედეგი.

კვიპროსმა დამოუკიდებლობა მოიპოვა 1959 წელს, 1974 წელს განიცადა სახელმწიფო გადატრიალება, რის შედეგადაც თურქეთმა მიიტაცა კუნძულის 37%. 1983 წელს კი თურქეთმა აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო. 2004 წელს კვიპროსი შევიდა ევროკავშირში, სადაც მსოფლიოს ყველა სუვერენული სახელმწიფო აღიარებს მის ტერიტორიული მთლიანობას, და რუკაზე მონიშნულია მთლიანი კუნძული.

საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წელს. 1993 წლამდე გრძელდებოდა საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რის შედეგადაც იმავე წლის სექტემბერში საქართველომ დაკარგა კონტროლი ორივე ტერიტორიაზე. ეს ორი ანკლავი წარმოადგენს ქვეყნის 20 %. 2008 წლიდან ქართულ-რუსული ურთიერთობები, კვლავ დაიძაბა და ქართული მხარის მიმართ ხდებოდა სისტემატური პროვოკაციები, რომელიც იმავე წლის აგვისტოში, გადაიზარდა სამხედრო დაპირისპირებაში, რის შედეგადაც რუსეთის ხელისუფლებამ აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც სუვერენული სახელმწიფოები. საქართველო ადგას ევროინტეგრაციის გზას, და 2014 წლის ივნისში ელოდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. მის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს მსოფლიოს ყველა სუვერენული სახელმწიფო (რუსეთის, ვენესუელის, ნიკარაგუას და ნაურუს გარდა) და რუკაზე მონიშნულია მთლიანი სახელმწიფო.

Abstract

The present work deals with the separatist movements, military conflicts and the problems of territorial disintegration in Georgia and Cyprus. As both Georgia and Cyprus have territorial problems and there are a lot of similarities, the research focuses on finding factors, which provoked the emerging of the de-facto states in these countries.

Cyprus gained its independence in 1959, in 1974 it underwent the Coup and the 37 % of its northern territory was occupied by Turkey. In 1983 the Republic of Turkey recognized the independence of North Cyprus. In 2004 Cyprus joined the EU and every UN state recognizes its territorial integrity. Therefore, united island is marked on the map.

Georgia gained its independence in 1991. The same year it witnessed the Coup and during the transitional period the country was ruled by military junta. Simultaneously, there were military operations in Abkhazia and South Ossetia, and in 1993 Georgia lost its control on the territories. Those two enclaves represent 20 % of the Georgian territory. In 2008, relations between Georgia and Russia extremely deteriorated and after regular provocations towards Georgians, the situation overgrew into military collision. After 5-day war, in August 2008, the Kremlin recognized the independence of Abkhazia and South Ossetia. Georgia is an EU and NATO aspirant country and is supposed to sign the Association Agreement with EU on the 27th of June, 2014. Its territorial integrity is recognized by international community (excluded Russia, Nicaragua, Venezuela and Nauru). On the maps, Georgia is represented as a united country.

მადლობა

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის და ნაშრომის შექმნაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის, დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ისტორიის დოქტორს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს მალხაზ თორიას, აგრეთვე, ილიას უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ისტორიის დოქტორს გია ანჩაბაძეს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ლონდერ ცაავას და საქართველოს ყოფილ ელჩს კვიპროსის რესპუბლიკაში გია ჯაფარიძეს, გაწეული შრომისათვის.